

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის ბეჭდვითი  
მომსახურების შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი გამარტივებული  
ელექტრონული ტენდერის

**CPV 79800000**

**სატენდერო დოკუმენტაცია**

(დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი)

---

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

## სარჩევი

1	ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	2
2	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება	3
3	მომსახურების გაწევის პირობები და ვადები	4
4	მიღება-ჩაბარების გაფორმების წესი	5
5	ანგარიშსწორების პირობები	5
6	პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები	5
7	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	6
8	<u>დანართი №1</u>	10
9	<u>დანართი №2</u>	11

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა).

1.2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით შესაბამისად.

1.3. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.5. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულებების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.8. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6. საკონტაქტო პირი: **ნიკოლოზ რეხვიაშვილი ტელ: 577 387 235;**

## **2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:**

2.1 გასაწევი მომსახურება გულისხმობს სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის“ სხვადასხვა სახის ბეჭდური მომსახურებას შესყიდვა დანართი #3 ის შესაბამისად.

**შენიშვნა:** \* დანართ #3-ში მოყვანილი რაოდენობები არის მაქსიმალური და წლის განმავლობაში განისაზღვრება მოთხოვნის შესაბამისად.

## **2.2 მომსახურების გაწევის პირობები და ვადა:**

- მომსახურება გაწეული უნდა იქნეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან-2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნიდან და მიწოდებული დასაბეჭდი ბროშურების თემატიკისა და დიზაინის შემდგომ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.
- შემსყიდველი მოთხოვნასთან ერთად მიმწოდებელს მიაწვდის დასაბეჭდი ბროშურის თემატიკას.
- საბეჭდი მასალის დიზაინი და მისი სავარაუდო ვიზუალის დაკვეთა განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- ნაბეჭდი პროდუქცია მიწოდებული უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6.

## **3. მიღება-ჩაბარების გაფორმების წესი:**

გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## **4. ანგარიშსწორების პირობები:**

4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.

4.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ.

4.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

- 5.1. რეკვიზიტები დანართი №1-ის შესაბამისად;
- 5.2. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №2-ის შესაბამისად;

6. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან/და აუდიტის დასკვნით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #  
(წინამდებარე ხელშეკრულება დეტალურად დაზუსტდება მიმწოდებლის  
სატენდერო წინადადების შესაბამისად)

თბილისი

„\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 2016 წ.

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

**2. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა (შემდგომში “შემსყიდველი”)

მდებარე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ #6

და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (შემდგომში “მიმწოდებელი”) შორის.

### 3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ბეჭდვითი მომსახურების (CPV კოდი: 79800000) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სატენდერო განცხადების #).

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

4.3. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა.

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრს გაუწიოს მე-3 მუხლში მითითებული მომსახურება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნიდან და მიწოდებული დასაბეჭდი ბროშურების თემატიკისა და დიზაინის შემდგომ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

### 6. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი გაწეულ მომსახურებაზე "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## **7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

## **8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია**

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება;

## **9. ანგარიშსწორება**

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეულ მომსახურების ფარგლებში შესაბამისი “მიღება-ჩაბარების” აქტის გაფორმების შემდგომ;

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## **10. ფასები**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## **11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.



11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **12. უფლებების გადაცემა**

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## **13. ფორს-მაჟორი**

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## **14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - გასაწევი

კონკრეტული მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 თებერვლამდე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი:**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-  
კვლევითი ცენტრი

**მიმწოდებელი:**

---

---

**რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ხარისხობრივი მაჩვენებლები და პარამეტრები	განზომილება (ცალი)	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
	1	2	3	4	5
1	ბანერი, ამოსაქაჩი 3:H17ი სტენდი (Rollup)		20		
2	პოსტერი		50		
3	ფლაერი		2 000		
4	ბუკლეტი		2 000		
5	ტრიპლეტი		2 000		
6	ეტიკეტი		4 000		
7	ბროშურა A5		51 000		
8	ბროშურა A5		42 000		
9	ბროშურა A5		12 000		
10	ბროშურა A5		6 000		
11	ჟურნალი		3 000		
12	ლოგოიანი კონვერტი		1 000		
13	ლოგოიანი ბლოკნოტი		400		
14	სავიზიტო ბარათი		5 000		
15	კალამი		500		
16	მოსაწვევი / მისალოცი		1 000		
17	სასაჩუქრე ჩანთა (ბოთლის)		300		
18	სასაჩუქრე ჩანთა (დიდი)		200		
19	კედლის კალენდარი		500		
20	საქაღალდე		300		

პრეტენდენტის წარმომადგენელი

---

(თანამდებობა, სახელი გვარი, ხელმოწერა)

ბ.ა